



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია  
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია  
განკარგულება №153/2018

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების,  
რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორისათვის საგრანტო საკონკურსო  
კომისიის შემადგენლობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ქ. თბილისი

2018 წლის 30 ივლისი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული „გრანტის გაცემის წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორს, ამ განკარგულებაზე თანდართული, სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დირექტორის 2018 წლის 24 ივლისის №123 წერილით (ცესკოში რეგ. №1696) წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ბრძანებით განსაზღვროს საგრანტო საკონკურსო კომისიის შემადგენლობა.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარის  
მოვალეობის შემსრულებელი

გიორგი შარაბიძე

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

LEPL Centre for Electoral Systems Development, Reforms and Trainings

N 123  
24/07/2018

123-1-2-201807241125



საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს  
ქალბატონ თამარ ჟვანიას

ქალბატონო თამარ,

როგორც მოგეხსენებათ, სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ 2018 წლის 17 ივლისს გამოცხადდა საგრანტო კონკურსი. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის“ დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით თანდართული „გრანტის გაცემის წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თანხმობის მისაღებად წარმოგიდგენთ ინფორმაციას (CV-ები თან ერთვის) საგრანტო საკონკურსო კომისიის წევრობის კანდიდატურების შესახებ:

- ა) დავით ღონღაძე - საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES);
- ბ) თინათინ ბოჭორიშვილი - საქართველოს უნივერსიტეტი;
- გ) ნანა ჭილაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- დ) მერაბ ხუციშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ე) პლატონ ფეიქრიშვილი - სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა; ვ) ნინო გოგოლაძე - ეროვნული უმცირესობების საკითხებზე ეუთოს უმაღლესი კომისარის წარმომადგენლობა (OSCE HCNM);
- ზ) ნინო დოლიძე - საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი (IRI);
- თ) თეონა ყუფუნია - საერთაშორისო ურთიერთობების ეროვნულ -დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI).

ამასთან გაცნობებთ, რომ „ვ“-„თ“ პუნქტებით გათვალისწინებული საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები საგრანტო საკონკურსო კომისიის საქმიანობაში მონაწილეობას მიიღებენ სათათბირო ხმის უფლებით, ზემოაღნიშნული „გრანტის გაცემის წესის“ მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

დანართი: 31 (ოცდათერთმეტი) ფურცლად.

პატივისცემით,

ნათია ზაალიშვილი



დირექტორი

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი